წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

ჰარასკევი, 3 ივნისი

# სამშობლო

№ 370

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ[illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

შაბათს, 4 ივნისს, სოფელ საჭილაოში, ილორის წმინდაგიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მღვდლის

**ლუკა (ფარნაოზ) მაქსიმეს ძის გრიგოლიას**

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: ალექსანდრე, მელქისედექი, რაჟდენი, ბაბილინა ფედოსი, ნინა და ოლღა, ძმები: ლევანი, სამსონი, დავითი და მენიკი გრიგოლიები. 1—1

ელექტრო „**რადიუმ**" თეატრი

ორშაბათიდან, 2 ივნისიდან ახალი პროგრამა

**პატე ჟურნალი 343.** მიმდინარე ამბები.

**ნავთისა და მილიონების სამეფოში**

მეორე სერია 4 ნაწილად ეპილოგით.

ელექტრო „**ამპირი**" თეატრი

ორშაბათიდან, 2 ივნისიდან ახალი პროგრამა.

**ქრონიკა გომონი**, მიმდინარე ამბები.

**სიყვარულის ტანჯვა.**

4 ნაწ. ურაძსკის მიერ დადგმული მხატვრული კინო დრამა. მოსკოვის თეატრის მსახიობთ, ბ-ნ ი. ი. მოზჟუხინისა და ქ-ნ ჰოზდნიაკოვის მონაწილეობით.

ადგილების ფასი „**ამპირსა**" და „**რადიუმში**"; ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

კვირას, 5 ივნისს, დღის 12 საათზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია „სინათლის" საზოგადოების წევრთა

**საზოგადო კრება.**

**კრების წესრიგი:** 1) კრების თავჯდომარისა და მდივნის არჩევა. 2) შემოსავალ-გასავლის ანგარიში და მოხსენება საზოგადოებისა და სასწავლებლის მოქმედების შესახებ. 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 4) მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა. 5) მოხსენება წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ. 6) მოხსენება ადგილის შეძენის შესახებ. 7) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა ნაცვლად იმ პირთა, რომელთაც წესდების მიხედვით სამსახურის ვადა უთავდებათ.

ქუთაისის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის **რუსული ენის მასწავლებელი** (ტომით რუსი) რჩება რა საზაფხულოდ ქუთაისში,

**ამზადებს მოწაფეებს**

საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, **სპეციალურად კი რუსულ ენაში.**

მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, სახლი წინამძღვაროვისა. პირადად მოლაპარაკება ნაშუადღევის 2—5 საათამდე. 6-3

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ 6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით, $12^{1}/_{2}$—4 საათ. საღ. 6—8 საათ.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შეაჩერა.

**ექიმი მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**" რედაქც.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 31 მაისი. ოფიციალი. ავსტრია-გერმანელთა ტყვეების რიცხვი სულ შეადგენს 1,700 აფიცერს და 114,000 ჯარისკაცს. კერძოთ გამოირკვა, რომ გენ. ლეჩიცკის ჯარმა დღემდე დაატყვევა: 1 გენერალი, 3 პოლკის უფროსი, 754 აფიცერი და 37,832 ჯარისკაცი, ხელთ იგდო 120 ტყვიისმტყორცნელი, 49 ზარბაზანი, 21 ყუმბარისმტყორცნელი და 11 ნაღმის მტყორცნელი. როჟიშჩეს ჩრდილოეთ-დასავლეთით გერმანელები უკუ ვაგდეთ და ჩვენი ჯარი მდ. სტოხოდუს მიუახლოვდა. ლუცკის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა ტორჩინი დაიჭირა და მტერს უკან სწევს. მდ. სტრიპის ხაზით სოფ. ბობულინცეს ჩრდილოეთით სასტიკი ბრძოლა გრძელდება. სოფ. ზარვანიცი, მკაცრი წინააღმდეგობის შემდეგ, ხელთ ვიგდეთ. მრავალ ადგილას მტერი ადგილებს ამაგრებს. დნესტრისა და მის სამხრეთ მიდამოებში ჩვენი ჯარი ბრძოლით დნესტრზე გადავიდა, დაიჭირა სხვადასხვა ადგილი, დ. ზალეშჩიკი და წინსვლას განაგრძობს, მდ. პრუტის ხაზით ბოიანიდან ნეპოკოლოუცამდე ჩვენი ჯარი მარცხენა ნაპირს მიუახლოვდა. ჩერნოვიცის სიმაგრეებთან სასტიკი ბრძოლაა. მტერი ყველგან მრავალ იარაღს სტოვებს. მაგალ., დუბნოდან კოზინამდე დასტოვეს ტელეფონის მოწყობილება, ტყვია-წამალი, ავტომობილები და სხვა. აქვე სოფ. მილჩასთან ხელუხლებლად დასტოვეს ძეგლი ავსტრიელთა გამარჯვებისა. ჩერნოვიცის ჩრდილოეთით, სოფ. სადაგურთან დავლა დაგვრჩა. მდ დვინისა და დვინსკის სამხრეთით სხვადასხვა ადგილს ზარბაზნებს უშენენ.

**პეტროგრადი.** ოფიციალი. მთელ ბრძოლის პირზე პოლესიედან რუმინეთის საზღვრამდე ჩვენი ჯარი კიდევ სდევნიდა მტერს. გუშინდელი დღის განმავლობაში კიდევ წამოვიყვანეთ ტყვეთ 6000 ჯარის კაცი და ორასი ოფიცერი, დავლათ დაგვრჩა 6 ზარბაზანი, 10 ტყვიის, მფრქვეველი, ბევრი ყუთი სასროლი მასალით. სამხედრო დავლისა და ტყვეთა რაოდენობა აქრობამდი შემდეგია: 120000 ჯარის კაცი 1720 აფიცერი, 130 ზარბაზანი, 260 ტყვიისმფრქვეველი. მოწინააღმდეგის ჯარი გზა აბნეულია, რაც, სხვათა შორის, სჩანს იქიდან, რომ, მაგალითად, გენ. შჩერბაჩოვის ჯარმა პატარა ადგილზე დაატყვევა 17000 ჯარის კაცი და 41 აფიცერი, ხელთ იგდო 29 ზარბაზანი 35 ტყვიისმფრქვეველი, 56 სასროლი მასალის ყუთი და სხვა. ახალი ცნობების მიხედვით, ისეთი დიდი დავლა დაუტოვებია მტერს, რომ მოკლე ხანში მისი რაოდენობის გამოკვლევა შეუძლებელია. (მაგალითად, ერთ ალაგას ვიპოვეთ 30 ვერსის საველე რკინის გზა). ვლადიმერ ვოლინსკის მიმართულებით მოწინააღმდეგე დიდ წინააღმდეგობას გვიწევს. ბრძოლა სწარმოებს ს. ზატურცის დასავლეთით (ლუცკ—ვლადიმერ – ვოლინსკის შუა გზაზე).

ს ზატურცის მიდამოებში მედგარი იერიშის დროს ცხენოსანმა ყაზახებმა აჰკუწეს მტრის ესკადრონები. დუბნოს დასავლეთით ჩვენი ჯარი მტრის დევნის დროს ს. დემიდოვკას გასცილდა, ხოლო დუბნოს სამხრეთ-დასავლეთით დაიპყრო ს. კოზინი. მდ. სტრიპის მარჯვენა ნაპირზე, ბუჩაჩის მიდამოების ჩრდილოეთით, მტერი ძლიერი იერიშით წამოვიდა. აქ გუშინდელ ბრძოლაში ჩვენმა ჯარმა მაინც დაახევინა მტერს, და დაიპყრო მდინარის მარჯვენა ნაპირზე სიმაღლე გაივორონკაბაბულინის მიდამოებში. დნესტრის სამხრეთით დავიპყარით სნიატინი. ჩერნოვიცის ხიდის საფართან ბრძოლა გრძელდება. მდ. დვინის ხაზზე გერმანელების არტილერიამ ცეცხლი გაუჩინა იკსკიულის ხიდის საფარს. სმორგონის სამხრეთით მტერი ჩვენ სიმაგრეებს უახლოვდება, მაგრამ ჩვენ უკუ ვაქციეთ. ბარანოვიჩის მიდამოებში და სამხრეთით გუშინდელი დღის განმავლობაში რამდენჯერ შეტაკება მოგვიხდა მტრის ძლიერ ძალებთან.

კავკასიის ასპარეზი.

დიარბექირის მიმართულებით ჩვენი რაზმები შეუმჩნევლად მიუახლოვდენ ოსმალებს, იერიში მიიტანეს და მათი ბანაკი დაიპყრეს. მტერი გაიქცა. რევანდუზის ასპარეზზე მტერი მოვიგერიეთ.

ბაღდადის მიმართულებით ჩვენ შევაჩერეთ მოწინააღმდეგის დიდი ძალების წინსვლა.

**პარიზი.** დღის ცნობა მაასის მარჯვენა ნაპირზე, ტიომონის ფერმის დასავლეთით, მთელ ბრძოლის პირზე გერმანელებმა იერიშები განაახლეს და შეიჭრნენ 321 სიმაღლის აღმოსავლეთ კალთებზე მდებარე მოწინავე თხრილებში, დანარჩენ ალაგებში იერიშები მოვიგერიეთ. მაასის მარცხენა ნაპირზე არტილერიის ცეცხლი კვლავ მძინვარებს.

**რომი.** იტალიის მთავარ ბანაკის ცნობა. ადიჯესა და ბრეტნას შუა არტილერიის ძლიერი მოქმედებაა. მიუხედავათ მტრის სასტიკი წინააღმდეგობისა, იტალიელები წინ მიიწევენ ლაგარინის ღელეში. ძლიერი არტილერიის ცეცხლის შემდეგ იტალიელებს მედგარი იერიში მიუტანიათ მოპირდაპირეზე და აუღიათ ძლიერი სიმაგრე, რომელიც იწყება პარ მეზანის. სიმაღლესთან ჩიმამეცანას აღმოსავლეთით და მდ. რიორომინის პირით ზევით მიდის. ავსტრიელებს ძლიერი უშედეგო კონტრ-იერიში მოუტანიათ იტალიის ახალ სიმაგრეთა წინააღმდეგ; პოზინო ასტიკოს ბრძოლის პირზე გაძლიერებული საარტილერიო ბრძოლაა. ავსტრიის ქვეითა ჯარი, ახალს დაპყრობილ მოლიზინიდან განდევნილ იქნა. სუგანოს ღელეში ღამე და მეორე დღეს დილით მტრის რაზმები მაზას ჩანჩქერის აღმოსავლეთით იერიშით წამოვიდენ, მაგრამ უკუ იქცენ დიდი ზარალით. კარნია-იზონცის ხაზზე არტილერიის ჩვეულებრივი მოქმედებაა.

**რომი.** 1 ივნისი. დღეს ბოზელლისს დაევალა ახალ მინისტრთა კაბინეტის შედგენა. მან ინახულა სალანდრა, რომელსაც უთქვამს, ახალ კაბინეტში ვერ მივიღებ მონაწილეობას, თუმცა მზად ვარ შევიდე კაბინეტში იტალიის ინტერესებისათვისაო.

**პარიზი.** 1 ივნისი უაზას მიდამოებში მულენსუტუვანის მიმართულებით გერმანელთა ძლიერ რაზმებს ფრანგებმა თოფის სროლით დაახევინეს სუასონის აღმოსავლეთით, ვენიცელთან, ფრანგებმა დაიპყრეს გერმანელთა სადარაჯო პოსტი. მაასის მარჯვენა ნაპირზე გაცხარებით უშენდენ ზარბაზანს ტიომონის ტყის, ვო-შაპიტრთან და ფორტ ვოს სამხრეთით მდებარე სიმაგრეებს. მარცხენა ნაპირზე დრო გამოშვებით არტილერიის სროლა სწარმოებს.

**ლონდონი.** 1 ივნისი. მთავარი ბანაკის ცნობა. გუშინდელი ძლიერი იერიშით კანადელებმა მიზანს მიაღწიეს, დაიპყრეს წინანდელი პოზიციები ზილებეკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 1500 იარდის სიგანის ბრძოლის პირზე. ამ ბრძოლაში გერმანელებმა დიდი დანაკლისი ნახეს: 126 კაცი ტყვეთ. ამის შემდეგ გერმანელები რამდენიმე საათის განმავლობაში კანადელებს მძიმე არტილერიას უშენდენ, მაგრამ პოზიციები შეინარჩუნეს. კანადელთა არტილერია კარგა გაუმკლავდა გერმანიისას, რომელიც მთელი დღე მოქმედებდა და მოიგერიეს გერმანელთა იერიში. გუშინ საღამოთი ორჯერ დაეცნენ კანადელები გერმანელთა სანგრებს.

**ქრისტიანია.** 1 ივნისი. მუშათა კონგრესმა გადასწყვიტა მუშაობას დაადგეს ხუთშაბათიდან.

**ნიუჩპინგი.** 1 ივნისი. ექვს გერმანელ ტრალერსა და რუს-ინგლისელთა სამხედრო გემებს შორის ღამე ბრძოლა მოხდა. ერთმა გერმანულმა ტრალერმა ხუთი დაჭრილი გაიყვანა ტრალერის მსახურნი არავითარ ცნობებს არ იძლევიან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

გალიციაში შეტევა კვლავ გრძელდება. გერმანული გაზ. „ლოკალ ანცეიგერი" სწერს: „მიუხედავად იმისა რომ რუსები ეგრე სისწრაფით მიდიან წინ, ამ რაიონში ბრძოლის დასრულებას ამ მოკლე ხანში მაინც არ უნდა ველოდეთო".

— —

„ბირჟ. ვედ." იტყობინება: „რიგის ფრონტზე გერმანელების მოქმედება ამ ბოლო დროს საგრძნობლად შესუსტდა, რაიც აიხსნება სასროლ მასალის შემოკლებით და იმ გარემოებით, რომ ამ ჟამათ გერმანელები გალიციის ასპარეზს დიდ ყურადღებას აქცევენო.

— —

რიგასთან მოპირდაპირეთა ჰაეროპლანების შეტაკება მოხდა. შეტაკებაში მონაწილეობას ღებულობდა 13 ჰაეროპლანი. რუსებმა მტრის ერთი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

— —

რიგის მიდამოებს ჰაეროპლანები არ სცილდებიან და აქ გამუდმებით ყუმბარებს ყრიან. სახლები სულ ერთიანად დანგრეულია.

— —

ავსტრიის სამხედრო შტაბს საქსონიის კორპუსები გალიციისკენ გამოუგზავნია.

— —

მინსკის ფრონტზე ცუდი ამინდები ხელს უშლის სამხედრო მოქმედებას.

— —

გერმანიის საადმირალომ აღიარა, რომ გერმანიის ფლოტმა ორი დრედნოუტი დაჰკარგაო.

— —

ზეებრიუგესთან ნაღმს დაეტაკა და დაიღუპა ინგლისის კრეისერი „ელიზავეტი".

— —

ავტორიტეტულ წრეების აზრით, ამ მოკლე ხანში ჩრდილოეთის ზღვაში მოსალოდნელია კიდევ დიდი ბრძოლებიო.

— —

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის ცნობით, ფორტ ვოს დაცემის დროს ფრანგებს დაკარგვიათ 13,000 კაცი და დიდძალი სამხედრო მასალა.

— —

კიტჩენერის მოადგილემ ლორდ ჯორჯმა ბრძანება გასცა, რომ ყველა ახალგაზდა, სავალდებულო ბეგრის მოსახდელათ, დაუყონებლივ უნდა გამოცხადდეს ჯარშიო.

— —

ენვერფაშა სტამბოლიდან აზიის ასპარეზზე წასულა.

— —

ვერდენის ბრძოლის შესახებ „ჰელსინგ ფორსის" სამხედრო მიმომხილველი სწერს: კაცობრიობას არ ახსოვს ასეთი საშინელი და საბედისწერო ადგილი. ვატერლოს შედარება არც კი შეიძლება ვერდენის ოპერაციასთან. მეოთხე თვეა, რაც ვერდენის გარშემო დაუსრულებელი ბრძოლის ქარბუქი ტრიალებს. გერმანელები განზრახ აჭიანურებენ აქაურ ოპერაციას, რომ ამით ერთის მხრით საფრანგეთის ჯარის უდიდესი ნაწილი დააბანდოს და მეორეს მხრით

# ომის დღიური.

— —

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** რუსების წინსვლა ვითარდება: ვლადიმერ ვოლინსკის რუსები 35 ვერსით დაუახლოვდენ. ჩერნოვიცის ჩრდილო დასავლეთით 35 ვერსით წაიწიეს წინ და დაიპყრეს სნიატინი, ხოლო თვით ჩერნოვიცის კარებესთან ძლიერი ბრძოლაა. გალიციის ბრძოლის პირის ჩრდილო ნაწილში ავსტრიელები დიდი ძალებით წამოსულან იერიშით, მაგრამ რუსებმა შეაჩერეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** ვერდენთან გერმანელები ჩვეულებრივის ტაქტიკით აწარმოებენ ბრძოლას. ტიომონ-დუომონის ხაზის დაპყრობის შემდეგ აუღიათ 321 სიმაღლის მოწინავე სანგრები მაასის მარჯვენა ნაპირზე და მარცხენა ნაპირზე კი არტილერიას ამოქმედებენ. ინგლისის კანადელი ჯარები მარჯვედ დასცემია გერმანელთა სიმაგრეებს; უკანასკნელთ მძიმე არტილერიის ტყვია უწვიმებიათ კანადელებისათვის.

**კავკასიის ასპარეზზე** ოსმალებმა დაასრულეს რა დახევა, მთელ მცირე აზიაში, როგორც ჩვენ აღნიშნული გვქონდა მიმოხილვაში, მიზნად დაუსახავთ დიდი ხნის ბრძოლა აწ დაკარგულ სიმაგრეებზე. ბაღდადის მიმართულებით იერიშებით წამოსულან ოსმალონი ძლიერი ძალებით.

**იტალიის ასპარეზზე** ავსტრიელები არავითარ აქტივობას არ იჩენენ, იტალიელები კი თანდათანობით წარმატებას აღწევენ, რიორიმინის სამხრეთით მდებარე მოზდილი სიმაგრე დაუპყრიათ.

**ბალკანეთზე** არავითარი ბრძოლა არ სწარმოებს.

ჩრდილოეთ ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ბრძოლა მომხდარა გერმანელთა და ინგლისელთა საზღვაო მცირე ძალთა შორის. ბრძოლის შედეგებისა არა ვიცით რა ცნობების უქონლობისა გამო.

საფრანგეთის „ცოცხალ ძალას" რაც შეიძლება მეტი ზიანი მიაყენონ.

— —

გერმანელები ლორდ კიტჩენერს ერთ უდიდეს მტრად სთვლიდენ და მის დაკარგვას დიდ დანაკლისად სთვლიან ინგლისისთვის.

— —

მთაშავეთის მეფე ნიკოლოზი ამ ჟამად პარიზში იმყოფება.

— —

იტალიის ასპარეზზე ავსტრიელებმა საჩქარო წინსვლა შეაჩერეს, რაც აიხსნება გალიციის ამბების ზეგავლენით.

— —

ვერდენის ასპარეზზე 26 მაისს ხანგრძლივ საყუმბარო ბრძოლის შემდეგ გერმანელებმა დაამხეს ფორტი „ვო".

— —

საბერძნეთის შინაური მდგომარეობა მეტად არეულ-დარეულია. ვენიზელოსისტები განაგრძობენ მოკავშირეებისკენ ყურებას. მოსალოდნელია, სკულუდისის სამინისტროს დაცემა. საბერძნეთის მეფემ შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებს განუცხადა: მე ჯერ არც ერთ მებრძოლ სახელმწიფოსკენ არ გადავხრილვარ და მტკიცეთ ვიცავ ნეიტრალობასო.

— —

დანიაში რკინის გზებზე საერთო გაფიცვა დაიწყო. მთავრობამ აკრძალა სასმელების ხმარება-შემოზიდვა.

— —

ჩინეთის არეულობას ვერც დიქტატორ იუანშიკაის სიკვდილმა მოუღო ბოლო. მთელს რესპუბლიკაში უკიდურესი ანარქიაა გამეფებული. მრავალი პროვინცია კვლავ განზეა გამდგარი და არავითარ წესრიგს არ ემორჩილება.

— —

პარიზში გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი საფრანგეთის აკადემიის წევრი ემილ ფაგე.

— —

ენვერ-ფაშასა და სანდერსის შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა. სანდერსი თურმე კვლავ ადრიანოპოლშია და სარდლობს გალიპოლ-ფრაკიის ჯარებს, ენვერ ფაშა კი მოითხოვდა, რომ იგი დაუყონებლივ მცირე აზიის ბრძოლის ასპარეზზე წასულიყო. სანდერსი ამტკიცებს, რომ დარდანელის დასაცავად კვლავ გამოცდილი კაცია საჭირო და ამიტომ მცირე აზიაში ვერც ჯარებს გავგზავნი და ვერც მე წავალო.

— —

ბერლინში პურის კრიზისი შესუსტდა. 17 მაისს რუმინიიდან 15,000 ვაგონი ხორბალი მოზიდეს.

— —

გერმანიამ შინაური ვაჭრობა მრეწველობის მობილიზაცია გამოაცხადა.

— —

საბერძნეთის სამეფო მისიამ პეტროგრადში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს განუცხადა: „საბერძნეთს თავისი ნებით ჯერ არავითარი ტერიტორია არ დაუთმია, და აგრეთვე მართალი არ არის ის ხმები, თითქოს ცენტრალურ სახელმწიფოებს მივმხრობოდითო. ჩვენ ძველებურად განვაგრძობთ ნეიტრალობის დაცვას და დავიცავთ მას, ვიდრე შესაძლებელი იქნებაო.

— —

„დაილუ კრაიცი" იტყობინება, გერმანიამ რუსეთის ასპარეზზე დიდძალი ჯარი და მძიმე ზარბაზნები გამოგზავნაო.

— —

მაკენზენი ევროპის ასპარეზზე გადაჰყავთ.

## სამხედრო მიმოხილვა

ძველი და ახალი სტრატეგია.

თანამედროვე ტიტანურმა ომმა არა ერთსა და ორ დარგში მოახდინა ცვლილება და მისი შინაარსი ძირიან ფესვიანად შესცვალა. მრავალი მხარე ცხოვრებისა სულ ახალ პირობებში ჩააყენა და ბევრ საზოგადო მოვლენას ნირი უცვალა რასაკვირველია, თუ ეს ომი ახალ პირობებს ჰქმნის ცხოვრებისას, მოსალოდნელია, რომ თვით ბრძოლის ხასიათსაც შესცვლიდა. თანამედროვე ხანა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქმის ქვეყნიერების ბედი სრულიად ახალ პირს ჩააბარეს და ის თავის გემოზე აწესრიგებს ყველაფერსაო, და თვით ამ ცვლილების იარაღს, — ომსაც ახალი ხასიათი მისცა, ახალი სახელმძღვანელო ჩააბარა ხელში ომის ხელმძღვანელობისა.

ეს ახალი პირი გახლავს მეცნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ევროპეიზმისა და ამერიკანიზმისა.

რას გვეუბნება ეს სიტყვები?

ვინც დაკვირვებია ევროპის ქვეყნებს განსაკუთრებით გერმანიისა, ინგლისისა და ჩრდილო ამერიკის ცხოვრებას ბოლო ათეულ წლებში, ის ადვილად გასცემს პასუხს ამ კითხვას.

ევროპა ამერიკაში მომწიფებულმა ეკონომიურმა საკითხებმა არა თუ წარმოშვა ეს ომი და დაუსახეს მას მიზნები, არამედ ხასიათიც ბრძოლებისა თავისი მისცეს.

მთავარსარდლები ისე აწარმოებენ ბრძოლებს, როგორც ევროპიელი ვაჭრები სავაჭრო ოპერაციებს, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ სარდლებს უსულო საქონლის მაგივრად ცოცხალი ძალა ყავს და ვაჭრის მჭერმეტყველობის ცეცხლის მაგივრად სარდალს საქმეს უკეთებს ძლიერი ცეცხლის მჭერმეტყველობა. სხვაფრივ არავითარი განსხვავება არ არის.

როგორც ვაჭრობაში, ისე ბრძოლაში ის იმარჯვებს, ვინც საჭირო დროს საკმაო მასალას მოაგროვებს. როგორც იქ, ისე აქ, საჭიროა ბრძოლის დროს აუღოალღო და მდგომარეობის მიხედვით სხვადასხვანაირი ბრძოლა აწარმოვო. ერთნაირი ნერვიული გაფაციცება საჭირო ორივე დარგში.

ამ მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე ომი დიდად განსხვავდება უწინდელ ომებისაგან.

წინად თუ ასი ათასიანი ჯარი სამუდამოდ სცილდებოდა ბაზას მიდიოდა შორს და ღვთის ანაბარად დარჩომილ ერთგვარ პირობებში მყოფს მხოლოდ ერთგვარი ბრძოლის წარმოება შეეძლო, დღევანდელ დროში საომარ ერთეულს შეუძლია მიმოსვლის უმწვერვალეს განვითარების წყალობით ესა თუ ის საჭირო მასალა მოიშველიოს ბლომად დროზე და იმ ხასიათის ბრძოლა აწარმოვოს, რომელიც უფრო ხელსაყრელი იქნება მისთვის გასაკუთრებულ დროში. ეს თვისება თანამედროვე ბრძოლისა იმ უპირატესობას ანიჭებს მებრძოლ მხარეს, რომ ხშირად გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ის გამარჯვებული დარჩომილა და, პირდაპირ განადგურებას გადარჩომილი განადგურებით დამუქრებია მოწინააღმდეგეს

ვისი სტრატეგია და ტაქტიკა უფრო მოქნილი და ცხოველი აღმოჩნდება, ეჭვი არ არის, ის გაიმარჯვებს მუდამ.

მაგალითად, თუ შევადარებთ გერმანელთა შარშანდელ გრანდიოზულ შემოტევას აღმოსავლეთით და ეხლანდელი ბრძოლის ერთგვარ ციებ-ცხელებას კერძოდ ვერდენთან და საერთოდ მთელს დასავლეთ ასპარეზზე, ნათელი გახდება ზემოდ მოყვანილი ჩვენი მოსაზრება

შარშან რაკი რუსები აპირობდენ სამუდამოდ გამაგრებას დაპყრობილ გალიციაში, გერმანიისათვის საჭირო იყო ამ მხრის დაბრუნება, ფართო მანევრებით მიაღწია ამ მიზანს მან.

სულ სხვაა დასავლეთის ასპარეზზე, აქ გერმანელები სცდილობდენ ფრანგების შესუსტებას; შეიძლებოდა მაზე ეფიქრა გერმანეთის მთავარ სარდლებს იმ შემთხვევაში, თუ ფრანგები გენერალურ ბრძოლაში ჩაებმებოდენ, მაგრამ ვერდენის ბრძოლის პირველ დღეებშივე გამოაშკარავდა ფრანგების სურვილი. მათ გადასწყვიტეს გენერალური ბრძოლის თავიდან აცილება, თუნდაც ამ მიზნისათვის პარიზიც კი შეეწირათ.

ამ შემთხვევაში გერმანელებმა აირჩიეს ერთი ხერხი, რომელიც ჯერჯერობით საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს გერმანელთათვის, რადგანაც ისინი რამდენადმე კმაყოფილნი არიან.

ვერდენთან წარმოებული [illegible] მსვლელობა მოგვაგონებს ჩვენ ერთ ავადმყოფობის მსვლელობას — [illegible] ციებ-ცხელება. ეს სიცოცხლისა და სიკვდილის ინტენსიური კბილებ ჩაჭიდობილი ბრძოლაა. ამავე ხასიათისაა ეს „სამხედრო ციებ ცხელება". ვნახოთ ვინ ვის მოევლინება სიკვდილად.

შვერდი.

### ქ. ქუთაისი, 3 ივნისი.

ბრძოლა თუ თა- ამ საკითხის გარშემო ნამშრომლობა. კიდევ აღიძრა მსჯელობა ქართულ პრესაში.

დასელები, როგორც წინად, ახლაც უკიდურესი შეხედულების მიმდევარნი არიან; მათის აზრით, სხვადასხვა კლასთა თუ წოდებათა შორის ყოველთვის შეურიგებელი ბრძოლა არსებობდა და არსებობს; ეს ბუნებრივია და სასურველიც და ვინც ამ ბრძოლის მინელებასა და შესუსტებას შეეცდება, ის მოღალატეა ხალხისა, მთელი საზოგადოებისა, რომლის განვითარების და წინსვლის უმთავრეს ფაქტორად სწორეთ ხსენებული ბრძოლა უნდა ჩაითვალოსო.

სოციალ ფედერალისტების შეხედულება ამავე საკითხზე მეტათ გამოურკვეველია; დროისა და გარემოების მიხედვით ისინი ხან კლასთა ბრძოლის დროშას აფრიალებენ, ვითარცა სოციალისტები და ხან კი კლასთა თანამშრომლობას აფარებენ თავს, ვითარცა ნაციონალისტები.

ამ ბოლო დროს, როცა ყველამ ეჭვი შეიტანა ფედერალისტების სოციალისტობაში და მრავალი, შეურყეველი მაგალითით ამხილეს ამ ჯგუფის არასოციალისტური შემადგენლობა და მიმართულება, ისინი შეეცადენ დაემტკიცებიათ წინააღმდეგი საზოგადოებისათვის და ამ მიზნით გაზეთიც კი გამოსცეს, რომლის ფურცლებზე, განსაკუთრებით პირველ ხანს, ძლიერ ხშირად შეხვდებოდით წმიდა წყალის სოციალისტურ ფრაზეოლოგიას (კლასთა შორის შეურიგებლობა; ეკონომიურ ნიადაგზე განხეთქილება და ამით გამოწვეული კონფლიკტი მუშასა და პატრონს შორის; მშრომელ ხალხში კლასიური თვითშემეცნების განვითარება და სხვა). კიდევ მეტი: ფედერალისტები არ დაკმაყოფილდენ მარტოოდენ ლიტონი სიტყვებით და შეეცადენ ცხოვრების მიერ წამოყენებულ კითხვების გადაჭრის დროს ეხელმძღვანელათ კლასიური და სოციალისტური თვალსაზრისით (იხ. გ. გველესიანის და სხვების წერილები ფედერალისტების პოზიციის შესახებ თბილისის ქალაქის არჩევნებში; იმ-ამის პირველი სახე-

## წერილი რუსეთიდან.

**ათი წლის წინად.**

(1906.—27 აპრილი—1916.)

ათი წლის წინად, სახელდობრ 27 აპრილს 1906 წელს რუსეთმა ფერი იცვალა. ის თითქოს განახლდა, მან თითქოს ხელიც კი გაუწოდა ყველა ერის ჩაგრულთ. ჩვენს თვალწინ გადაიშალა მთლიანი სურათი ახალგაზდა, ჯანღონით, იმედებით და ახალი იდეალებით აღსავსე რუსეთისა. ამ დღეს გაიხსნა პირველი სახელმწიფო სათათბირო; ამ დღეს პირველად შეიკრიბნენ და პირისპირ წარდგენ ხალხის წარმომადგენლები, ხალხისვე ამორჩეული დეპუტატები, რუსეთის პირველი პარლამენტარისტები.

დიაღ, ამ დღეს თავრიდის სასახლეზე აფრიალდა დროშა, რომელზედაც გარკვეული ასოებით ეწერა და მთელ რუსეთს ამცნობდა — „ხალხის ბედის გადაწყვეტა ხალხსავე ეკუთვნისო".

თუ რამდენად გამართლდა ეს სიტყვები, ამის გარკვევას მე აქ არ შევუდგები, ვინაიდან ვინც დღეს სალი თვალით გადახედავს უზარმაზარ რუსეთს, ვინც დღეს დააკვირდება სახელმწიფო სათათბიროს მსვლელობას, ის ცხადად დაინახავს მის მიერ მოტანილ ავ კარგს; ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს დღე ერთადერთი საუკეთესო ისტორიული დღე იყო რუსეთისთვის; ეს დღე დიდმნიშვნელოვანი დღე იყო, როგორც ცენტრალურ რუსეთისათვის, ისე იმ პატარა დაჩაგრულ ერთათვის, რომელნიც მიჰკედლებიან მას, დაციურ მანანასავით მოელიან მისგან ხსნას, შვებას.

აღფრთოვანებით შეხვდა ამ დღეს ვეებერთელა რუსეთი; აღტაცებით მიეგება ამ დღეს რუსეთის ფრთებს ქვეშ მომწყვდეული დაჩაგრული ერებიც, და კარგათ მახსოვს ის სიხარული, ის აღტაცება და ზეიმი, რომელიც უძღვნა ამ დღეს პატარა საქართველომაც, რომლის უბედო შვილნი მოელოდენ თავის წარმომადგენლებისაგან პირველ თავისუფალ ეროვნულ სიტყვას, სიტყვას, რომლითაც ამცნობდენ დიდი რუსეთის ხალხთა წარმომადგენლებს, რომ ამ პატარა ერსაც სწყურია მიიღოს ის, რაც მას მრავალი საუკუნოების განმავლობაში ეკუთვნოდა და მის უფლებაში შედიოდა, რომ ამ ერს სურს დაუბრუნდეს თავის ცხოვრებას, არსებობას, მისგანვე დამოკიდებულს. თუ რამდენად გამართლდა ქართველი ერის მოლოდინი, მიბაძეს თუ არა ქართველი ერის წარმომადგენლებმა სხვა ჩაგრულ ერთა წარმომადგენლებს და დაიცვეს თავისი ერის ინტერესები და შეასრულეს დავალება ერისა თუ არა, ამის პასუხი მიმინდვია თვით მკითხველისათვის, მე კი დავუბრუნდები ისევ 27 აპრილს 1906 წლისას.

არა ერთი და ორი თაობა მოელოდა ამ დღეს და ხელს უწყობდენ მის მოახლოვებას ამ დღეზე ოცნებობდენ დეკაბრისტები; ეს დღე ესიზმრებოდათ ბელინსკის, დაბროლიუბოვს, ჩერნიშევსკის. ამ დღის დადგომა ღრმად სწამდათ მიხაილოვსკის და პლეხანოვს; მისთვის იბრძოდენ ლავროვი და გერმანე ლოპატინი; და დიდხანს, დიდხანს მოელოდენ მასთვის უნებაყოფლო მარტოობაში მყოფნი მოროზოვი და ფიგნერი....

დრო მიდიოდა. დღე დღეს ცვლიდა, წლები-წლებს; თაობა თაობას უტოვებდა ანდერძათ ამ დღის მოახლოვებისათვის ბრძოლას: ხალხი ითვისებდა ამ ცნებას, და რუსეთის ინტელიგენციის სარდლები, რომელნიც მოხერხებულად უვლიდენ გვერდს ცენზურის „წითელ მელანს", დაუღალავად უნერგავდენ ხალხს გულში კონსტიტუციონურ მართველობის იდეას. ამას არ ამბობდენ პირდაპირ, მაგრამ შემუშავდა განსაკუთრებული ენა „ენა იგავ არაკისებური", რომელიც ესმოდათ მხოლოდ მწერალს და მკითხველს.

და აი, დადგა ეს დღე. 27 აპრილს 1906 წელს დადგა ეს სანატრელი წამი. გაიხსნა პირველი პარლამენტი რუსეთისა, რომლის წინაშეც მუხლი მოიყარა რუსეთის ყველა ჩაგრულმა და მათმა მთავარსარდალმა ს. მურომცევმა.

1906 წელს, 12 დეკემბერს დაწყებულ არაჩვეულებრივ მოვლენებს გვირგვინი დადგა თავს 27 აპრილმა 1906 წელს და ამანათა განთიადის ვარსკვლავმა. ამიტომ 27 აპრილი არ იყო შემთხვევითი, მოულოდნელი დღე მას კავშირი აქვს რამოდენიმე ასეულ წლებთან. მისი ძირი გაამაგრა რამოდენიმე ათეულმა წლებმა. ის იყო ერთ-ერთი ნაწილი იმ ძაფისა, რომელიც გააბა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის წინამძღოლებმა ხალხსა და მთავრობის შორის, რომელსაც მოანდომეს არა ერთი და ორი წლიწადი, და რომლის გამო არა ერთი და ორი ღირსეული შვილი ავიდა ეშაფოტზე

უკანასკნელი წლები, რეჟიმი პობედონოსცევისა, მურავიოვისა, სიპიაგინისა, პლევესი, ბოგოლეპოვისა, რეჟიმი, რომელიც თვით ლესდა თავის დასაკლავ დანას და რომელიც აშკარათ უფრო ხელს უწყობდა იმ შენობის ნგრევას, რომლის შეკეთება-შეკოწიწებისათვის ასე თავგამოდებით იბრძოდენ ზემოხსენებულნი „ცხონებულნი". აი ეს რეჟიმი ერთი ხელის შემწყობთაგანი იყო ამ ნათელი დღის მოახლოვების. რამდენათ მეტათ იჩენდებოდა ჰაერი ამ რეჟიმით, იმდენად ნათელი ხდებოდა მისივე დასასრულის მოახლოვება.

თუ ორი წლით ადრე სიპიაგინი შესცვალა უფრო „სწორ ხაზინამა" ფონ-პლევემ, ორი წლის შემდეგ უკანასკნელის ადგილზე წამოყენებულ იქნა კანდიდატურა სუსტ-ხასიათიანი სვიატოპოლკ - მირსკისა, რომელიც ბიუროკრატიულ წრეებში ითვლებოდა და სარგებლობდა „ლიბერალის" რეპუტაციით.

როგორც საზოგადოთ არევ-დარევის დროს, ისე, ეხლაც ერთის ნაბიჯი ეწინა აღმდეგებოდა მეორესას. 18 თებერვლიდან 6 აგვისტომდის რუსეთი განიცდიდა ტრეპოვის „მეფობას. 6 აგვისტოსაც არ შეუცვლია მდგომარეობა. „ბულიგინის კონსტიტუციამ" ვერავინ ვერ დააკმაყოფილა. ტრეპოვი კი განაგრძობდა თავის „წინანდებურ მოქმედებას".

17 ოქტომბერმა დაასაფლავა ტრეპოვის „მეფობა", მაგრამ ის შესცვალა დურნოვოს ერამ.

დურნოვო დღესასწაულობდა, ის ზეიმს მიეცა ის არ შეუშფოთებია კანონმდებლობის მინისტრის მანუხინის მიერ კაბინეტის დატოვებას, იმ მანუხინის, რომელიც დურნოვოს მოქმედებებს უკანონოთ სცნობდა (დატუსაღება სასამართლოს გამომძიებლისა, დატუსაღება ნაფიც ვექილისა სასამართლოში თავის მოვალეობის ასრულების დროს, მიუხედავათ სასამართლოს თავჯდომარის პროტესტისა). ის არ დააფიქრა არც სტახოვიჩის ღია წერილმა მის (დურნოვოს) უკანონო ოპერაციებზე.

დურნოვო ყოველ ფრონტზე გამარჯვებული დარჩა და ზეიმს იხდიდა. რაც მეტს იმარჯვებდა დურნოვო, მით უფრო ბოლო ეკვეცებოდა ხალხთა წარმომადგენლების მოწვევას. 11 დეკემბერს გამოქვეყნებულ იქნა საარჩევნო კანონი, რომლითაც იხელმძღვანელეს პირველ და მეორე სათათბიროს დეპუტატების არჩევნების დროს. 1907 წელს 3 ივნისის აქტით, ეს კანონი შეცვლილ იქნა მეორეთი, რომლითაც მოხდა არჩევნები მესამე და მეოთხე სათათბიროში. თებერვალსა და მარტში გამოაქვეყნეს დროებითი წესები რაღაც „თავისუფლებებზე", რომელსაც იძლეოდა 17 ოქტომბრის მანიფესტი. სათათბიროს მოწვევის დღე კი არ სჩანდა. ისინი, ვინც ყურადღებით მოისმინა ისტორიული მანიფესტი 17 ოქტომბრისა, იგონებდა მანიფესტის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია: „ძლიერ ცოტა დრო დარჩა სათათბიროს მოწვევამდის"-ო, და გაკვირვებით გადაავლებდენ თვალს გასულ უმოქმედო ექვს თვეს. განცვიფრება მით უფრო იყო, რომ ვიტტემ ერთ-ერთ ინტერვიუზე სრულიად მოულოდნელად და საბაბ მოუცემლად ჩამოაგდო ლაპარაკი სათათბიროს უფლებებზე, და ჩაილაპარაკა: „მიმცემს, წართმევის უფლებაც აქვსო", ამ მოულოდნელმა და იმ ხანაში სიმპტომატიურმა განცხადებამ თვით „ნოვოე ვრემიას" შემქმნელი განსვენებული სუვორინიც კი აღაშფოთა, და ვრცელი წერილით მოაგონა რუსეთის კონსტიტუციის შემქმნელს ის საყოველთაოდ მიღებული ვალდებულება, რომელიც შეეხება თამასუქების მიმცემს და მიმღებს...

. . . . . . . . .

და ბოლოს როგორც იქნა დაინიშნა არჩევნები გავიდენ თითქმის ყველა გუბერნიის ოპოზიციონური ელემენტები.

თითქმის ყველა გუბერნიის საარჩევნო კრებებიდან იგზავნებოდ ყველა ამომრჩეველთა და ახლად არჩეულ დეპუტატების მიერ ხელ მოწერილი დეპეშები გრაფ ვიტტესთან, რომელ[illegible] მოითხოვდენ მისგან

ლოვანი ფელეტონები სომეხ-ქართველ სოლიდარობის შესახებ, რომელიც ნაკარნახევია ჰუმანიურ სოციალისტურ მსოფლ მხედველობით); მაგრამ გავიდა დრო და ფედერალისტებს მაინც არავინ დაუჯერა და ისევ ძველებურად განაგრძობენ დანარჩენი მიმართულებანი მათი ცრუ-სოციალისტობის მხილებას და, დახე უბედურებას, ზოგიერთნი ნაციონალიზმის ლოლტსაც კი სწამებენ მათ.

,,მეგობრი''-ს პუბლიცისტებმა, კლასთა ბრძოლის იდეის ქადაგებით დაღალულებმა, დაქანცულებმა და თავმობეზრებულებმა კვლავ კლასთა თანამშრომლობის აუცილებლობაზე დაიწყეს წერა და მსჯელობა და სომეხ-ქართველთა შორის სანუკველ სოლიდარობის ნაცვლად ეხლა ბრძოლა გამოაცხადეს და ურჩევენ ქართველობას გამოფხიზლდენ, რადგან თურმე სომხები მათ არ უჯერებენ და ძველი გზით განაგრძობენ სიარულს.

ჩვენ არ ვიცით, რა გზას დაადგებიან შემდეგში ფედერალისტები, ხოლო ის კი ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ყოვლად შეუწყნარებელია პოლიტიკური პარტიისთვის პრინციპიალურ შეხედულებათა ასე ხშირი და შეუწყვეტელი ცვალებადობა იმისდა მიხედვით, თუ რომელს უფრო დიდი გასავალი აქვს დღეს, რომელი ლოზუნგის გარშემო უფრო მეტი ხალხის შემოკრებაა შესაძლო; ამნაირი ოპორტიუნიზმი პარტიის უპრინციპობისა და უნიადაგობის აშკარა მაჩვენებელია და, თუ მან დროზე არ დაალწია თავი ამგვარ ოპორტიუნისტურმდგომარეობას, მას აუცილებლად დაშლა დარღვევა მოელისო.

რაც შეეხება ჩვენს შეხედულებას კლასთა ურთიერთობაზე, არა ერთხელ გვითქვამს და კვლავ გავიმეორებთ, რომ ჩვენ არ უარვყოფთ იმას, რომ ეკონომიურ ნიადაგზე არსებობს ბრძოლა სხვადასხვა კლასთა შორის და ძლიერ ხშირად მუშების მოთხოვნილება და ბრძოლა მეპატრონეებთან კანონიერია და ღირსია ყურადღება დაკმაყოფილების, მაგრამ ჩვენ ისიც არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ამ ბრძოლის უაღრესს პრინციპად აღსარება და იმის თქმა, რომ კაცობრიობის წინსვლა მხოლოდ ამ ბრძოლაზეა დამოკიდებული, დიდი უმეცრება და ყოვლად შეუწყნარებელი შეცდომა იქნებოდა,

აქ ჩვენ იძულებული ვართ მოვაგონოთ მკითხველს ჩვენი შეხედულება აღძრულ საკითხზე, ამ რამდენიმე ხნის წინად გამოთქმული გაზეთ „სამშობლოში". მაშინ ჩვენ ვსწერდით და ეხლაც იმ აზრისა ვართ, რომ ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა არსებობა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომ საზოგადოების კლასთა ან წოდებათა ურთიერთი დამოკიდებულება მარტოოდენ ქიშპობით და ერთი მეორესთან შეურიგებელი ბრძოლით ხასიათდებოდეს. ჩვენი ღრმა რწმენით უფრო ხშირ და ყოველდღიურ, უფრო მუდმივ და ნორმალურ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს საზოგადოების შემადგენელ, სხვადასხვა სოციალურ ელემენტთა შორის თანამშრომლობა: ეკონომიურსა, პოლიტიკურსა, მეცნიერულსა, ლიტერატურულსა, ეროვნულსა და სხვა ნიადაგზე

მართალია, დღევანდელი გაფიცვები კლასთა შორის არსებული ბრძოლის ერთი გამოხატულებათაგანი არის, მაგრამ ეს მოვლენა ხომ საზოგადოების დარღვევას ნიშნავს და დანარჩენ დროს მუშები და მეპატრონენი ხომ თანამშრომლობენ განსაზღვრულ ეკონომიური მიზნის მისაღწევათ (თანამშრომლობა ეკონომიური).

მართალია, პარლამენტებში ხშირათ გაცხარებული ბრძოლა და თავშეუკავებელი შეხლა-შეტაკება არსებობს ორატორთა შორის, მაგრამ არც ერთი პარტიის წარმომადგენელი არ კმაყოფილდება მარტოოდენ უარყოფითი საპარლამენტო მოღვაწეობით და თითქმის ყველა მათგანი იღებს მონაწილეობას საერთო სახელმწიფო კანონმდებლობაში (თანამშრომლობა პოლიტიკური):

ყველაზე უფრო თვალსაჩინო და აშკარაა ერთი მეორის მოწინაალმდეგე საზოგადოებრივი კლასების მიერ ერთი მეორისადმი ხელის გაწევა და შერიგება-შეკავშირება, მათ შორის შუღლისა და ქიშპობის მოსპობა და მტკიცე ერთობის ჩამოვარდნა საერთო, საეროვნო მიზნის მისაღწევათ (თანამშრომლობა ეროვნული) და სხვა..

ის.

## ქართული პრესა.

გაზეთ „საქართველოში" გ გ—ზიანი ეხება ჩვენში მამულების გადამიჯვნა-გადმომიჯვნის საქმეს და შემდეგსა სწერს:

არსებობს ეგრედ წოდებული „უმაღლესი ბრძანება" 13 ენკენისთვის 1914 წლის თარიღით, რომელიც გამოცემულია 87 მუხლის ძალით (სახელმწიფოს ძირითადი კანონი). ეს ბრძანება შეღავათს იძლევა ყოველ ჯარში გაწვეულ სასამართლოში საქმის მქონებლის სასარგებლოდ. პირველი მუხლი ამ კანონისა ამბობს, რომ ყოველივე სჩივრის საქმე, რომელიც კი არის განსახილველად სასამართლოს ან სასამართლო ადმინისტრატიულ დაწესებულებაში, რომელშიაც მონაწილედ არიას ჯარში გაწვეული. უნდა შეჩერებულ იქნეს უკეთუ ვექილი არ ჰყავს; აგრეთვე უნდა შეჩერდეს მათ წინააღმდეგ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, მხოლოდ ამ გარემოების შესახებ უნდა ეცნობოს სათანადო მთავრობას, რომ აქვე შეჩერდეს. (მუხლი 1,2). თუმცა ამ კანონში მიწის გამიჯვნის შესახებ პირდაპირ არ არის ლაპარაკი, მაგრამ დედააზრი კანონისა ისეთია, რომ ეს კანონი შეეხება ყოველ საქმეს ჯარში გაწვეულებისას, რომ პირადის დაუსწრებლობით, უკეთუ მათ თავიანთი ვექილი არ ჰყავს საქმე არ წაუხდესთ.

გამიჯვნის საქმეც უნდა მიეწეროს სწორედ იმ საქმეებს, რომელთა შესახებ არის გამოცემული უმაღლესი ბრძანება 1914 წ. 13 ენკენისთვეს. ამიტომ საჭიროა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ან და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აღძრან სათანადო შუამდგომლობა, რომ მიწების გამიჯვნა ომის გათავებამდის შეჩერდეს, მით უმეტეს ძნელი და საზარალო დღეს მიწების გამიჯვნა, რომ პატრონები არამც თუ ვერ დაესწრებიან გამიჯვნას, თავის მაგიერ სხვასაც ვერავის იშოვნიან, რომ გაგზავნონ და არც მუშახელის შოვნაა და გასამიჯნად ამ გამწარებულ სამუშაო დროს ვერავის ამუშავებენ.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

კვირას, 5 ივანობისთვეს, დღის 12 საათზე ქუთაისის ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია გუბერნიის მცხოვრებ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდობის დამხმარე საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

ა) განხილვა და დამტკიცება საზოგადოების მოღვაწეობის ანგარიშისა, სარევიზიო კომისიის მოხსენებისა და მომავალი წლის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვისა;

ბ) გამგეობისაგან საჭიროების დროს გაცემული შემწეობის რაოდენობის განსაზღვრა;

გ) საკანცელარიო ხარჯების დასაფარავი ფულის რაოდენობის განსაზღვრა;

დ) არჩევა საზოგადოების საპატიო წევრთა, გამგეობისა, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათი კანდიდატებისა, ხაზინადრისა და მდივნისა

✦ სასოფლო სამეურნეო ამწერთა ინსტრუქტორების კურსები უკვე დასრულდა. ამ დღეებში ისინი გაემგზავრებიან სოფლათ, რომ იქ შეადგინონ რეგისტრატორთა რაზმი. მთავრობას ამ საქმის მოსაწყობათ ქუთაისის გუბერნიაში გადადებული აქვს 43 ათასი მანეთი.

✦ ფოთის ქალაქის თავი ატყობინებს ქუთ. გუბერნატორს, რომ 40,000 მანეთიდან რომელიც სესხათ მისცა სამოსწავლო სამინისტრომ ქ. ფოთში სამოქალაქო სასწავლებლის ასაგებათ, 1901 წ. დღემდი გასტუმრებულია 14,000 მან და, პირობის თანახმათ, ქალაქი დარჩენილ 26,000 მ. გასასტუმრებლათ გადიხდის წლიურათ 2,000 მან.

✦ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე მიეცეს ზემოხსენებულ საზოგადოებას ყოველ ორკვირაში 40—40 ვაგონი სიმინდის მოსაზიდათ ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა დანიშნულ სოფლისათვის

✦ სამთო მადნო სამმართველო სთხოვს ქუთ. გუბერნატორს მიეცეს ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში მომუშავე მუშებისათვის საჭირო სანოვაგის მისაზიდათ სად. დვოინავადან 2 ვაგონი.

✦ ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის მეშვიდე კლასის კურსი წელს დაასრულა სამოცდა ერთმა მოწაფე ქალმა. აი მათი გვარები: აბრამაძე ევლალიამ, ანდრიანოვა, მარიამ (ვერცხლის ჯვრით) ახობაძე მარიამ, ვოლოხი თამარი, ვიაზოვსკაია, ნადეჟდა, გაბუნია თამარი, გალუსტოვი ანნა, გორშკოვა მარიამ, დიდია ქსენია, ირუშკინა ვალენტინა, კარბაკი თამარი, ქებაძე ვერა, ყიფიანი მირგარიტა, კურცხალია ლიდა, მდებროვი ანნა, მეფისაშვილი ნინო, მურადოვი სოფიო, ნარსია ოლღა, ნიკოლაევა ეკატერინე, პეტროვა ალექსანდრა, რევიშვილი ელენე, რიყინაშვილი სოფიო, რომანოვსკაია მარიამ, რუსაძე ანნა, საყვარელიძე მარიამ, სტეპანოვა ოლგა, სუდაკოვა მარიამ, თოფურია ელენე, ფიშხევა მარიამ (ოქროს ჯვრით) წერეთელი თამარა გედევანის ასული, წულუკიძე ქეთევან (ოქროს ჯვრით), ერისთავი მინადორა, აბაშიძე მართა, აბაშიძე ნიფადორა, ამირაღოვი მარგარიტა, ბაქრაძე ვერა, გვაიანცი ზარუი, (ვერცხლის ჯვრით) გაბაშვილი ნინო, გვარამია მარიამ: გეგეჭკორი ბარბარე, ჯანელიძე ოლღა დოლინსკაია ვალერიანა, კაკიტელაშვილი დორა, ქამაროვი მარიამ, კანდელაკი მარიამ ივანეს ასული, კოლხინა ევგენია (ოქროს ჯვრით), კოლხინა ნატალია, ქომეტიანი ქეთო (ოქროს ჯვრით) ნიჟარაძე კლავდია, ფირალიშვილი მარიამ, ფხაკაძე ნინო, სულაქაძე თამარი (ოქროს ჯვრით) ხომერიკი მარიამ, წერეთელი მარიამ სიმონის ასული, წერეთელი თამარი იოსების ასული, ჩიმაკაძე ელენე, ხინჩალაძე ვერა, შავდია ელენე, შარაშიძე თინათინ, იურკევსკაია რიმა,

ამავე სასწავლებლის მერვე კლასი დაასრულა 32 მოწაფე ქალმა: ამირეჯიბი ელენე, ასათიანი ელენე, აფანასოვი ანნა, ბორდეს კლარა, გაჩეჩილაძე ნინო, განერელია, გურგენიძე მარიამ, ჯანელიძე ელენე, ჯაფარიძე თამარი, იოსელიანი ელენე ბესარიონის ასული, იოსელიანი ელენე კირილეს ასული, ქავთარაძე ანნა, კვალიაშვილი მარგარიტა, ქებაძე პელაგია, ყიფიანი მარგარიტა, კობალაძე მავრა, მამულაიშვილი მარიამ, მიქაბერიძე ბარბარე, მოსეშვილი ელისაბედ, პაპავა მარიამ, სანაძე ლიუბა, სვანიძე სერაფიმა, სვანიძე ნადეჟდა, ტყეშელაშვილი სოფიო, ხვედელიძე ნინო, იაშვილი ელენე, შენგელია ნინო, ბახბაკოვა მარიამ, ჩაჩიბაია ელენე და ყაზარიანცი ნინო.

## ნიკო ნიკოლაძის საქმე.

### კარაბჩევსკის სიტყვა.

ბრალმდებლის აზრით, ციფრებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მე არ შემიძლია ასე ვუყურო ციფრების მნიშვნელობას, რადგანაც ამას შეუძლია ნიკოლაძე ციხემდი მიიყვანოს. ერთმა პატარა ადამიანმა, კაცუნამ მოწმე დე-სუმ დეჩიჩმა რომლის გამოუცხადებლობამაც კინაღამ არ გაართულა საქმის მსვლელობა, თავის ყალბი ჩვენებით უნდა ჩირქი მოსცხოს ისეთ დიდებულსა და საზოგადო მოღვაწეს, როგორიც არის ნიკოლაძე.

მეორე მოწმე ინჟინერი სკარჟინსკი უფრო სხვა მხრივ ახასიათებს ნიკოლაძის მოღვაწეობას.

მთელი საიდუმლოება იმაშია, რომ ნიკოლაძე თავის წრეში ერთად ერთი კაცი იყო დაჯილდოვებული დიდი ნიჭითა და ენერგიით. სწორედ ამით აიხსნება ის დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობის როლის შესრულება, რომელიც პატიოსნათ და ნიჭიერათ განახორციელა ნიკოლაძემ და რომელსაც ბრალმდებელიც თანაგრძნობით ადასტურებს.

ოთხჯერ ამოირჩიეს ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავათ და ამ ხნის განმავლობაში, როგორც დიდმა მუხამ მან მოასწრო ღრმათ გაეშვა ფესვები თავის სამოქმედო ასპარეზზე. დადგა შემოდგომა და სასამართლოს ქარმა თითქოს ჩამოაცვივნა ფოთლები, მისი სიმშვენიერე. მაგრამ არა! ის მაინც ამაყურათ სდგას როგორც დიდი მუხა და არა უბრალო ხე.

უნდათ დაგვარწმუნონ ჩვენ, რომ ნიკოლაძესა და ამ ფირმას ერთმანეთში ხელშეკრულობა ქონდათ—ქრთამი უნდა მიეცათ ასეთი დიდი პოსტის ადამიანისათვის. რასაკვირველია, ეს დიდი შეურაცხყოფა არის ორივე მხარისათვის. წარმოგიდგინოთ, რომ მართლაც ეს ხელშეკრულობა არსებულიყოს მათ შორის და რომელიმე მხარეს არ შეესრულებია, განა შეიძლებოდა ამ პირობის ქ.ღალდის ძალაში მოყვანა? საიდან შეეძლო ნიკოლაძეს ეს ქრთამი აეღო ან რა ძალა აქვს ამ პირობას?

ჩვენ გვეუბნებიან, ნიკოლაძე ხელს უწყობდა ხსენებულ ფირმას იჯარით აეღო ნავსადგური ასაშენებლათო და ამისთვის პირდაპირ თუ არა პირდაპირ ქრთამს ღებულობდა ფირმისაგანო ამავე საქმეებში შეურყეველი საბუთებია, რომ ნიკოლაძის ინიციატივით იყო მთელი მიწერ-მოწერა საზღვარ გარეთელი ნავსადგურის ამშენებელ ფირმებთან და ამ იდეას მხოლოდ მაშინ მიანება თავი, როდესაც დარწმუნდა თუ რა უხერხულობას გამოიწვევდა პრაქტიკულათ საზღვარ გარეთელ ფირმებთან საქმის დაჭერა. ისიც იყო აღნიშნული, რომ იჯარით ვაჭრობაზე დაუშვებდენ მხოლოდ ისეთ ფირმებს, რომელთაც კარგი რეპუტაცია და რეკამენდაცია ქონდა უმაღლესი წრის საზოგადოებიდან.

„ბუნგე-პალაშკოვსკის" ფირმა კი ყოველ შემთხვევაში იყო უფრო დიდი გავლენიანი ფირმა, რაც დაამტკიცა მისმა ფოთის ქალაქის სესხში გარევამ და დახმარებამ და რომელმაც უფრო კარგათ იცოდა ყველა ის გზა, სადაც შეიძლებოდა განხორციელება სესხის მიცემისა. საქმეში არის საკმარისი საბუთები, საიდანაც სჩანს, რომ ა. ა. ბუნგე პატიოსანი პიროვნება იყო და ასეთს ფინანსისტს მახინაციებს ის არასოდეს არ ჩაიდენდა. ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ [illegible] არ არის რაიმე მესამე პირის ანგარიში, არამედ ეს არის კამპანიის [illegible] ანგარიშები. ფირმის ანგარიშებში არაფერია დამალული, ყველაფერი აშკარათ სჩანს. ასეთი ანგარიშები მათ ქონდათ პეტროგრადის ხიდების გაკეთების დროსაც. თუ რაიმე გაცემა არსებობს „ბუნგე პალაშკოვსკის" ფირმიდან, ეს აიხსნება იმით, რომ მათ ერთმანეთში სხვა ანგარიშები და დამოკიდებულობა ქონდათ, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს პორტის აშენებასთან ერთად. განა ვინც ქრთამების ამღებია, მახ არიცის ქაღალდების შენახვა და გადამალვა? სად გაქვთ, ბ-ნო მსაჯულნო, საბუთი, რომ ნიკოლაძეს ქრთამები აეღოს ამ ფირმიდან? მაგრამ მე ამ საკითხის გამოკვლევას და გაშუქებას მივანდობ ჩემს ახალგაზრდა ამხანაგს. რაც შეეხება ჯალალოვის ფულის გაფლანგვას და რომ ქალაქმა ის ოფიციალურათ არ გამოაქვეყნა, განა სიმართლე არ არის ეს საქმე დიდათ შეუშლიდა ხელს ქალაქს სესხის აღების საქმეში? რომელი ფინანსისტი მისცემდა ქალაქს ერთ მანეთს სესხად, სადაც ასეთი უწესოება სწარმოებს?

ბრალმდებელმა უკვე მოიხსენია ნიკოლაძის ღვაწლი პორტის აგების ისტორიაში და მე მოგახსენებთ მეორე ღვაწლის მისას სახელმწიფოს წინაშე, რომელსაც ჩვენ დავაფასებთ მხოლოდ ომის შემდეგ. მოიგონეთ ის ისტორია, როცა გერმანიის ცნობილ გლეზენკირხერის საზოგადოებას, რომელიც ყოველთვის ნიკოლაძის წინააღმდეგ მიდიოდა, სურდა ქობულეთში მარგანეცის დასატვირთავი ნავსადგური აეგო. ამის შესახებ მათ დიდი შუამდგომლობა გასწიეს და დიდი გავლენაც ქონდათ ისე, როგორც გერმანიის ყველა წარმომადგენელს რუსეთში ამ ფირმას (გ. ი. გელზენკირხერის) კარგათ ესმოდა ამისი მნიშვნელობა ომის დროს. ეს ადგილი ისეთსავე როლს ითამაშებდა დღეს, როგორც იაპონიის ომის დროს ითამაშა ნავსადგურმა დალნიმ პორტარტურის ბედზე. დიახ! ბ-ნნო მსაჯულნო, ეს კარმათ შეიგნო ნიკოლაძის მირონცხებულმა შუბლმა და მან შესძლო მათი პროექტი ჩაეხრო. და განა ეს დიდი სამსახური არ არის სამშობლოისა და სახელმწიფოს წინაშე? განა ცოტა ენერგია დასჭირდებოდა ნიკოლაძეს, რომ თავისი გაეტანა ისეთ საზოგადოების წინააღმდეგ, როგორი იყვნენ გერმანიის ფირმები?..დიახ, ნიკოლაძისთანა ადამიანები ქრთამებს არ იღებენ და არც სჭირდებათ. აი ასეთი კაცი ამ ჟამათ დამნაშავის სკამზე ზის!

## გაკვრით.

მეცხრამეტე საუკუნიდან დაწყებული, სამწუხარო პირობებში ჩავარდნილმა საქართველომ, მამაპაპური ცოდვა დღემდის კიდევ ვერ გამოასწორა, თავიდან ვერ მოიშორა, და უთანხმოების ბაცილები მთელს ერს ძვალსა და რბილში გაუჯდა

თუ ძველმა უთანხმოებამ საქართველო პოლიტიკურად მოჰკლა, ახლა ჯგუფურ ქიშპობაზე დამყარებული მას გადაგვარებას უქადის, რაც პირველ მოვლენილ უბედურებაზე უარესიც არის.

დღევანდელი ჯგუფების წყალობით დღეს ერთი მთლიანი საქართველო აღარ არსებობს და ძმა ძმის მტრად და ორგულად არის გამოცხადებული. შეთანხმებულ, ძმურ, ქვეყნისათვის სასარგებლო თანამშრომლობას ჩვენში ადგილი აღარა აქვს. ეს მოვლენა, განსაკუთრებით, მდაბიო სოფლის ხალხზე ცუდად მოქმედობს და მათ იგი კულტურულ მუშაობას ხელს უშლის. სხვადასხვა ჯგუფის ქართველს ერთად მუშაობა არ შეუძლია და კულტურული საქმიანობა ისე როგორ გაჩაღდება, სოფლად არის თუ ქალაქად, ღმერთმანი არ ვიცი,

დრო არის ქართველმა ხალხმა ძველი მწარე გაკვეთილებით ისარგებლოს და პარტიულ ქიშპობას თავი დააღწიოს, თუ მომავალი სიცოცხლე სწყურია.

მ. ბუაჩიძე.

## რუსეთი.

კავკავის გუბერნიაში გარდაიცვალა ცნობილი რუსი მეტეოროლოგი მარკოვი, განსვენებული 70 წლის იყო.

---

საქმით დაემტკიცებია დაპირება რეფორმების მოცემისა. ყველა ამ დეპეშაზე 17 ოქტომბრის მანიფესტის ცნობილ დამატების ავტორმა მალე სტერეოტიპული პასუხი უძღვნა: „ჯერ დამშვიდება, შემდეგ რეფორმები" ო.

და აჰა, ინათა და დადგა დღე 27 აპრილი, დღე დანიშნული სათათბიროს მოწვევისა. როგორც წინათ ვსთქვით, დღე 27 აპრილი, იყო ერთ ერთი ნაწილი იმ გრძელი დაუსრულებელი ჯაჭვისა, რომლის გაჭედვასაც მოანდომეს არა ერთი და ორი წელი, და დღესაც არა სჩანს მისი ბოლო. ამ ჯაჭვის ყოველი რგოლი წარმოადგენს პასუხს იმ ბრძოლისას, რომელსაც შეალია დემოკრატიამ თავისი ძალღონე და რომელსაც არა ერთი და ორი შვილი შესწირა მსხვერპლათ. და ეხლა, როცა მოვიხედავთ უკან და გადავავლებთ თვალს გასულ წლებს, უნდა აღვიაროთ, რომ ამ ათი წლის განმავლობაში მხოლოდ 27 აპრილი იყო ერთადერთი სხივი, იმ ხალხის მიერ გაჭედილი მზისა, რომელსაც ეწოდება „განმათავისუფლებელი მოძრაობა".

27 აპრილი ერთადერთი დღე იყო, როდესაც ხალხს იმედი მიეცა ბრწყინვალე მომავლისა. დღეს ჩვენ სახელმწიფო სათათბიროს პესიმისტურათ შევყურებთ, ვინაიდან ვერა ვხედავთ იმ სიტყვების განხორციელებას, რომელიც თავრიდის სასახლის თავზე აფრიალებულ დროშაზე ეწერა. მაგრამ მაშინ კი, იმ დროს იმ განსაკუთრებულ დღეს, რუსეთის ისტორიაში, სულ სხვა ნაირათ უყურებენ მას. მაშინ ყველა ღრმა რწმენით იყო გამსჭვალული, და სწამდათ ბრწყინვალე მომავლის მოახლოება. არავის ეჭვი არ ებადებოდა, რომ 27 აპრილიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ი[illegible]სა, ხანა განახლებისა; ყველას სჯეროდა, რომ ძველი რეჟიმი მოკვდა, რომ ის არასდროს არ დაბრუნდება, რომ მან დაასრულა თავისი მეფობა და მისს ნანგრევზე აშენდებოდა განახლების ხანა, რომელიც მოუტანდა ხალხს შვებას, ხსნას. ხალხი ბრმა იყო. ის ისე გაიტაცა პირველმა ხანებმა და განსაკუთრებით 27 აპრილის დადგომამ, რომ ვერ ამჩნევდა მომავალ ნიაღვარს, თუმცა ამის ნიშნები მაშინაც საკმაოდ იყო, ერთი-მეორის უარესი სიმპტომებს. მაგრამ საზოგადოება, როგორც ვსთქვი, და მათთან ერთად რამოდენიმეთ მათი არჩეულნიც, დრომ გაიტაცა და ვერაფერს ვერ ამჩნევდენ. ისინი სადღესასწაულოდ მოირთვენ, თვალები დახუჭეს, რომ მათ არ შეენიშნა არა სასურველი და დროს შეუფერებელი მოვლენები. თუ რას ფიქრობდენ მაშინდელი დეპუტატები და როგორი იყო მათი სულიერი მდგომარეობა, ამას მეტად ახასიათებს საუბარი როდიჩევისა ჟურნალისტებთან სათათბიროს გახსნის წინა დღეს. მათ შეკითხვაზე: თუ როგორია მახლობელი გეგმა სათათბიროს მუშაობისა, რა ზომებს მიიღებს ის რუსეთის ცხოვრების არსებულ წყობილების სრულიად გარდაქმნისათვის, რუსეთის ნიჭიერმა პარლამენტარისტმა, სახელ განთქმულმა ტრიბუნმა უპასუხა, რომ ის ეხლა, ახლად შეყვარებულის მდგომარეობაშია, იმ შეყვარებულის, რომელმაც ესეც არის გაიგო, რომ მის სატრფოსაც უყვარს, და ამ წამში მას არათუ დანახვა, გაგონებაც კი არ უნდა ცხოვრების პროზაზე, მომავალზე და სხვაზე. „შემდეგ, შემდეგ"-ო. ჯერ კი რუსეთის მირაბო თავბრუ დამხვევ გრძნობათა ბურუსით არის გარემოცული.

ილ. ჟღენტი

საქართველოს მღვდელმთავარი ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი პეტროგრადს ჩავიდა.

— —

პეტროგრადის უნივერსიტეტებიდან უკვე გაიწვიეს 1896 წ.წ. დაბადებულნი სტუდენტები.

— —

უწმ. სინოდმა ლორდ კიტჩენერის დაღუპვის გამო ინგლისის მეფეს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა

— —

ამ დღეებში პეტროგრადის სამხედრო სამართველო გაარჩევს იმ პირთა საქმეს, რომელთაც ამ ომის დროს მომხდარ სხვა დასხვა უწესოებისათვის ხელი შეუწყვიათ.

— —

შტიურმერის განკარგულებით, 79 საერობო უფროსის თანამდებობა გაუუქმებიათ.

— —

იუსტიციის მინისტრს საჭიროდ დაუნახავს 1903 წლის სისხლის სამართლის კანონის გადასინჯვას ახლავე შეუდგეს განსაკუთრებული კომისია. კომისია ამ საქმისთვის უკვე შემდგარა.

— —

კოოპერატივების საკითხი მინისტრთა საბჭოს ჯერ სავსებით არ განუხილავს. მისი განხილვა ამ დღეებში დასრულდება.

— —

საზონოვი ესაუბრა საბერძნეთის ელჩს, რომელსაც განუცხადა, რომ რუსეთი უკანასკნელ დრომდე ეცდება საბერძნეთთან მეგობრული განწყობილება იქონიოსო.

### უცხოეთი.

სამხრეთ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტს ვადა გაუვიდა. ახლა მთელს ამერიკაში დიდი საარჩევნო კომპანია დაიწყო ყოველი ოლქი დიდ მზადებაშია.

პრეზიდენტად ასახელებენ: ულის გრანს, მილიუს და ტიტ. რუზველტს.

— —

რუმინიის გერმანოფილური „პოლიტიკენი" სწერს: ბალკანეთზე გერმანიამ თავის მიზანს უკვე მიაღწია. გერმანიას სურ და მხოლოდ ხორბლის ბეღლის შეძენა და ცოცხალი ძალაო. პირველობას მას რუმინია უწევს, რაც შეეხება ცოცხალ ძალას, ეს ოსმალეთში ჯერჯერობით ურიცხვი ჰყავსო.

— —

სერბიაში შავი ჭირი გაჩენილა. ჭირი მუსრს ავლებს განსაკუთრებით „გახიზნულ ხალხს".

— —

ცნობილი ანდრო შერადამი, რომელიც ავსტრიის უფლება აყრილ ეროვნებათა საკითხის ერთერთ სპეციალისტ მცოდნე პირად ითვლებოდა და რომელიც ავსტრიის მთავრობას ურჩევდა ამ დამორჩილებულ ეროვნებათა დატუქსვას, ახლა მას აზრი შეუცვლია. ანდრო შერადმა პარიზის „საერთო ყრილობაზე" საჯარო სიტყვა წარმოსთქვა, სადაც გაბედულათ აღიარა, რომ ყოველ ერს აქვს თავისუფლად ცხოვრების უფლება, ავსტრიის ერები უსათუოდ განთავისუფლებული უნდა იქნენო—უთქვამს შერადამს. შერადამზე მეტად ცუდი და უარყოფითი გავლენა მოუხდენია ამ დღეაში ჩეხელ მოღვაწეთა გასამართლებას.

## კრება

(შრომის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის წევრთა).

არა ერთხელ გვქონდა მოხსენებული ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში ის უწესოება, რასაც სჩადის ხსენებული ამხანაგობის გამგეობის თავჯდომარე მღ. გიორგი მანჯავიძე 1913 წლიდან დღემდე. ამ უწესოების განმარტება საჭიროთ არ მიმაჩნია ამ წერილში, რადგან ყველას მოეხსენება ის „მიდგომითი" ფულების გაცემა წევრებზე, ზედმეტი ჯამაგირის მითვისება და სხვ. მაგრამ რა გაეწყობა, ჩვენს ბედშავ სამშობლოში ასეთი ნორჩი დაწესებულების მეთაურთა უთავობა არ ახალია ძველია, და ჩვენც, ვიდრე ხალხის მასა გაარჩევდეს კარგსა და ცუდს, იძულებული ვხდებით ხელდაკრეფილი ვუცქიროთ.

ამა წლის 20 მარტს მოხდა წლიური კრება ხსენებული ამხანაგობისა, რომელზედაც დაესწრო წვრილი კრედიტის ინსპეკტორი ბ-ნი ალ. სამ. ნიჟარაძე, ხსენებულ მოძღვარს ისე მოეწყო საქმე, რომ მოეწვია კრებაზე მხოლოდ ის პირები, რომლებიც ჰგალად მის არჩევაში იყვნენ დაინტერესებულნი. მაგრამ, მისდა საუბედუროთ, გამგეობის გარეშე დარჩა ჩვენი „საყვარელი" თავჯდომარე. მის ადგილზე აირჩიეს ფრიად სასარგებლო და საქმის მცოდნე პირი დეკანოზი დავით სუხიაშვილი. მაგრამ მღ. მანჯავიძის მოხერხებით და მისი ამქრების ვაჟკაცობით ოქმზე ხელი კრების ნახევარს არ ქონდა მოწერილი, ამის გამო ბ-მა ინსპექტორმა კრების გადაწყვეტილება უკანონოთ სცნო, ოქმი დახია და კრება დახურა.—მეორე კრების მოწვევა დანიშნა 13 მაისისთვის, მანამდე კი საქმის მართვა-გამგეობა კვლავ ძველებს ჩააბარა.

ამხნის განმამავლობაში კიდევ სხვაგვარ გადატრიალდა საქმე: ახლად არჩეულ თავჯდომარეს დეკ. მამა დავით სუხიაშვილს მოუვიდა უსახელო წერილი, რომელშიაც ემუქრებოდენ, თუ თავჯდომარეთ დარჩებოდა გამგეობაში. ეს გარემოება მთავრობას მოხსენდა და დღესაც გამოძიება სწარმოებს. ხოლო ხსენებულმა დეკანოზმა სუხიაშვილმა ამის შემდეგ ცივი უარი განაცხადა ამხანაგობაში სამსახურზე...

13 მაისს, მართლაც, მეორეთ მოხდა ამ ამხანაგობის წლიური კრება, რასაც დაესწრო და კრების თავჯდომარეთაც იქნა არჩეული ბ-ნი წვრ. კრ. ინსპექტორი ალ. სამ. ნიჟარაძე. პირველათ ამხანაგობის გამგეობის საქმის მწარმოებელმა ბ-ნმა ალექსანდრე ხარატიშვილმა კრებას გააცნო წარსული 1915 წლის ანგარიში, საიდანაც აღმოჩნდა შემდეგი: ყველა ხარჯს გარდა, დღეს ამხანაგობას აქვს:

**პასივი:**

| | |
|---|---|
| პაი. | 2402 მან. 20 კაპ, |
| საკუთარი თანხა | 447 მ. 70 კ. |
| გრძელვადიანი სესხი სახ. ბანკიდან | 2000 მ. |
| სათადარიგო თანხა | 65 მ 72 კაპ. |
| 1915 წლის წმინდა მოგება | 526 მ. 98 კ. |
| მობარებული სესხი | 300 მან. |
| სახელმწ ბანკ. მოკლევადიანი სესხი: | 15000 მ. |
| 1916 წელში სარგებელი | 790 მ. 40 კაპ. |
| წვრიმალი მოგებიდან | 98 მ. 80 კაპ. |
| ჯამი 21,631 მან. 80 კაპ. | |

**აქტივი:**

| | |
|---|---|
| სარგებლიანი ქაღალდები | 190 მან. |
| წევრებზე გაცემული სესხი | 20437 მან |
| ინვენტარი | 226 მ. 10 კაპ. |
| სარგებელი სახელმწიფო ბანკს | 488 მ. 50 კ. |
| სხვა წვრიმალი გასავალი | 74 მ. 30 კაპ |
| ნაღდი ფული კასაში | 205 მ 90 კ. |
| ჯამი 21631 80 კაპ. | |

წასული 1915 წლის მოგება 526 მ. 98 კ.

კრებამ გაანაწილა ამნაირათ:

ძირითადი თანხის გასაძლიერებლათ 40%—220 მან., სათადარიგო თანხას-20% 126 მ. 98 კაპ, ძირულის ხიდის ამშენებელი კომიტეტის სასარგებლოთ 50 მან. დამის სკოლას 10 მან., ძირულის ბიბლიოთეკას 10 მანეთი, „სინათლის" სკოლას ქუთაისში 40 მან. ქართველ მოღვაწეთა სააგარაკოს ტაგვერში 10 მანეთი, შრომის სამკითხველოს 20 მანეთი; 1914—16 წლის დაღუპულ ქართველ მეომართა ძეგლის ასაგებ ფონდს თბილისში 10 მანეთი, და სარევიზიო კომისიის წევრებს მიეცათ საჩუქარი 30 მანეთი.

ამის შემდეგ მოითხოვეს „საოქმო წიგნი" და დაავალა კრებამ საქმის მწარმოებელს ალ. ხარატიშვილს წაეკითხა ის, თუ რა შენიშვნა შეიტანა სარევიზიო კომისიამ გასული წლის გამგეობის მოქმედებაში: ხარატიშვილი კითხულობს 1) მიუხედავათ 1915 წლის 2 ოქტომბრის თარიღით ბ-ნ ინსპექტორის მიერ სარევიზიო წიგნში შეტანილ შენიშვნისა, გამგეობას მიუცია ზოგიერთა წევრისთვის ორი იმდენი კრედიტი სესხათ, რაც მათ გახსნილი არ ქონდათ.

2) გამგეობას გამოუცვლია ზოგიერთა წევრისთვის ერთსა და იმავე სესხზე სამჯერ-ოთხჯერ ვექსილი, რაც კანონისაგან სასტიკათ აკრძალულია...

3) როგორც აღმოჩნდა, შესავალ-გასავლის წიგნში გამგეობას სესხი მიუცია ისეთი პირებისათვის, რომელნიც წევრათ არ ირიცხებიან ამხანაგობაში და არც ღირსნი არიან წევრობისა, სადაც დაფარულია რაღაც გამოურკვეველი მიზეზი გამგეობისა...

5) თითოეული კრების ანგარიში და მოქმედება, რომელიც იმართება კვირაში ორჯერ გამგეობის წევრებისა არა ჩანს საოქმო წიგნში, რაც ნათლათ ამტკიცებს გამგეობის მიერ საქმის დაუდევრობას და რომელიც არღვევს საზოგადო კრების მიერ დადგენილებას 1913 წელს 1 ოქტომბერს და სხვა... კიდევ მრავალი მიზეზი აღმოჩნდა გამგეობის მოქმედებაში და აშკარა იყო, რომ ძველი გამგეობა უნდა გადაეყენებინა კრებას, მაგრამ დახედეთ თავჯდომარის მღ. გიორგი მანჯავიძის მოხერხებას და თავის „მოკეტუნებას" საქმე ისე დაატრიალა, რომ კრების უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ გამგეობაში ისევ ძველი წევრები დარჩნენ, მიუხედავათ იმისა, რომ მათზე უკეთ შეუძლიათ სხვებს საქმის სინიდისიერათ წარმოება.

თავჯდომარეს დაუნიშნეს 180 მანეთი (ისევ ძველი ჯამაგირი) გამგეობის ორ წევრს ჩხაიძეს და კვანიკაძეს თითოს 120 მანეთი და საქმის მწარმოებელს 180 მანეთი რას იზამ კაცო: უნდა გვეხსოვდეს, სანამ ჩვენი სახლხის უმრავლესობა არ აღიჭურვება ისეთი ცოდნით, რომ შეეძლება გაარჩიოს „თეთრი და შავი", მანამდი ასეთი ნორჩი და სასარგებლო დაწესებულებები ჯეროვან წარმატებას ვერ მიიღებს და ყოველთვის ისეთი უვიცი და გაუგებარი მეთაურის ხელში იქნება, როგორიც არის მამა აღძრული მღვდელი გიორგი მანჯავიძე.

ერმალოზ ებანოიძე.

## კოოპერაციის გარშემო.

(იხილე „სამშობლო" № 369).

რასაკვირველია, ამ საქმის მოწყობისათვის საჭირო იყო საკმაო თანხა და აგრეთვე ვაჭრობის კარგი მცოდნე პირი. ამიტომ სოხაძემ ამხანაგათ მიიღო მოძღვრიშვილი. ამ ნაირათ, სოხაძე და მოძღვრიშვილი შეუდგენ თავის კერძო ვაჭრობას, ხოლო რადგან ასეთი კერძო ვაჭრობისთვის საჭირო იყო პატენტი, ამისთვის კოოპერაციის ზოგიერთმა მეთაურთაგანმა სთხოვა სოხაძესა და მოძღვრიშვილს ესარგებლნათ კოოპერაციის ნებართვით და პატენტის ფასი ეძლია დაზარალებულ საზოგადოებისთვის და არც თვით ნებართვა გაბათილდებოდა. უკანასკნელნი დასთანხმდენ და აღუთქვეს საზოგადოებას ნებართვისათვის ეძლიათ ყოველ წლივ 100 მ. ამგვარათ კოოპერაციის ფირმით იწარმოვა სოხაძემ და მოძღვრიშვილმა ორ წელიწადს და ნებართვის ქირა 200 მანეთიც გადუხადა საზოგადოებას. ერთი სიტყვით, როგორც საზოგადოებასთან აგრეთვე ვალის პასუხისმგებელ ამხანაგებთანაც საუკეთესო განწყობილება ქონდათ აღნიშნულ პირთ და პირობასაც წესიერათ ასრულებდენ.

როდესაც საზოგადოებამ მოისურვა ხელახლათ კოოპერატივის გახსნა და ახალი გამგეობა აირჩია, ახალმა გამგეობამ მოსთხოვა სოხაძეს და მოძღვრიშვილს საზოგადოების ნებართვა და აგრეთვე ფირმის მოსპობა, რომელსაც კირაკოზოვების მაღაზია აწარმოვებდა, სოხაძისა და მოძღვრიშვილის მაგივრათ აწერდა ნაყიდ საქონლის ანგარიშებზე: „კოოპერაცია სინათლე"-ს, რადგანაც ეს საჭირო იყო ნებართვის დასაცავად.

სოხაძე და მოძღვრიშვილი ამ წინადადებას იმ წამსვე დასთანხმდენ და თვით იმავე გამგეობას წაყვა კირაკოზოვის ფირმასთან, რომ ნაცვლად „კოოპერაცია სინათლისა" ანგარიშები ეწარმოებიათ სოხაძისა და მოძღვრიშვილის სახელზე. კირაკოზოვის ფირმამ მყისვე გაანთავისუფლა კოოპერაცია და ყოველგვარი წარმოება გადაიტანა სოხაძესა და მოძღვრიშვილზე. აგრეთვე პასუხისმგებელიც იგივე ძველი კრედიტორები იყვნენ და არა ახალი საზოგადოება.

ბ. მეთვალყურე ამბობს: უარი უთხრა სოხაძემ და მოძღვრიშვილმა საზოგადოებასო, ეს ტყვილია. მოძღვრიშვილმა და სოხაძემ უარი უთხრა საზოგადოებას თავიანთი საკუთრების გადაცემის შესახებ, რასაც ასე დაჟინებით მოითხოვდა ერთი მეთაურთაგანი. ამან ბევრი უსიამოვნება გამოიწვია ორივეს მხრიდან. იმავე მეთაურის ზეგავლენით და მეთაურობით ჩამოვარდა დიდი უსიამოვნება სოხაძე-მოძღვრიშვილისა და ახალ საზოგადოების შორის, რომელსაც მოჰყვა არასაკადრისი საქმე: დუქნის ძალით დაკეტვა და საქონლის გადამალვა.

რაც შეეხება ბატონ მეთვალყურის უკანასკნელ სიტყვებს მოძღვრიშვილ-სოხაძის შესახებ, აი, სანამდის აღწევს სპეკულიანტების თავგასულობა, სწორეთ სამართლიანობა მოითხოვდა, რომ ბ. მეთვალყურეს ეთქვა ეს სიტყვა, როგორც ხსენებულ პირებზე, აგრეთვე მათზე, ვინც ის განიზრახა, რომ მანეთად ღირებული საქონელი წაერთვას მოძღვრიშვილსა და სოხაძეს ათ შაურათო, რადგან საზოგადოების არც ერთი წევრი ამას არ მოითხოვდა, რომ სხვისი წართმევით მათ ესარგებლნათ, მაგრამ ბ. მეთვალყურე აქაც ორპოფობს, ცალმხრივობას იჩენს და მხოლოდ სოხაძე და მოძღვრიშვილი გამოჰყავს დამნაშავეთ, რაც ყოველივე ეს არ ეკადრება ბ. მეთვალყურეს.

მე ი: მცოდნე.

## პროვინციის ცხოვრება.

**ტყიბული.** როგორც ამას წინათ ვსწერდით, ტყიბულის ახლო მახლო ქურდობა და ხალხის შევიწროება ყოველდღე მატულობს. 27 მაისს ღამეებისას ბოროტგამზრახველებს უნდოდათ რამდენიმე შინაური საქონლის მოპარვა საბალახოდან. ამ დროს მგზავრი აბესაძე თავს წაად გა ქურდებს. როცა დარწმუნდა აბესაძე რომ ეს ვაჟბატონები ქურდები იყვნენ, შესძახა საქონელს რად იჭერთო, ბოროტგამზრახველებმა ლევოლვერები დაუშინეს აბესაძეს საფანტიანი თოფი ჰქონია თან და ამასაც უპასუხნია სროლაზე. აბესაძემ სოფლისაკენ მოკურცხლა და ხალხს შეატყობინა საქმის გარემოება. როცა მდევრები ნაჩვენებ ადგილას მივიდენ, ქურდები აქ აღარ დახვდათ, ხოლო რამოდენიმე სული ხარი დაბორკილი და ხეზე მიბმული ნახეს ტყეში. ხარები ეკუთნოდა სპირიდონ ბოჭორიშვილს.

— ტყიბულის მცხოვრები 75 წლისა მოხუცებული გლეხი ბესარიონ ჯიშიაშვილი 29 მაისს სტუმრათ ეწვია ერთს თავის სახლიკაცს ანტონ ჯიშიაშვილს სოფელ მწუხარელაში (შორაპნის მაზრა), 30 მაისს, გათენებისას, თერჯოლის საზოგადოებაში მას დაესხა სამი შეიარაღებული უცნობი და მოითხოვეს ბესარიონ ჯიშიაშვილის წაყვანა პრისტავთან.

— ჩვენ სტრაჟნიკები ვართ და პრისტავმა გვიბრძანაო, უთქვამს უცნობებს. ჯიშიაშვილს მეტი ღონე აღარ ჰქონდა და დაეთანხმა. გათენდა თუ არა, სახლის პატრონმა ყოველივე ეს აცნობა ჩხარის პრისტავს და ჯიშიაშვილის ოჯახსაც შეატყობინა. ჯერ-ჯერობით არა იციან რა საით, ან რა მიზნით და ვისგან არის წაყვანილი ჯიშიაშვილი. იმას მთელს ტყიბულის არე-მარეში უმდიდრეს გლეხათ სთვლიდენ.

ნიკიფორე ჩხაიძე.

— —

**სოფ. კორბოული.** (ზემო იმერეთი). შიმშილობამ თითქმის ეპიდემიური ხასიათი მიიღო და მშველელი კი ჯერჯერობით არსაიდან სჩანს. სიმინდი ჯურაც არ მიგვიდია. უმწეოა დამშეულთა მდგომარეობა. გვგონა, საქველმოქმედო საზოგადოება ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდა კორბოულის მცხოვრებთ და შესაფერ ზომებს მიიღებდა დასახმარებლად.

წინა წერილში ვსწერდი, რომ წრევანდელ მოსავალს კარგი პირი უჩანს მეთქი, მაგრამ მაისში დაყინებულმა წვიმებმა და ნამეტნავად 10 მაისს მოვარდნილმა ნიაღვრებმა და აუტანელმა სიცივეებმა დიდათ დააზარალა, ნათესობა საიმედო მოსავალი უიმედოთ გახადა.

ვენახებს აქეთ სამუშაო [illegible] დი, მაგრამ უშაბიამნობით ამის მოსავლისაც დაღუპვა მოელის. [illegible] მოეხსენებოდეს, თუ მევენახეებს როგორ აიმედებდენ ჩვენი საკრედიტო, თუ მომხმარებელი სასოგადოებები; მათმა მეთაურებმა შაბიამნის სასყიდლათ მსურველებს სრული ფასიც კი გამოართვეს, მაგრამ გავიდა აგერ უკვე პირველი წამლობის ვადაც და წამალი ჯერაც არსაიდან ჩანს. პირში წყალგამოვლებული, მოტყუებული მევენახენი ამან ძალზე შეაშფოთა და არ იციან რა ქნან. ზემო-იმერეთის ყველა დაბაში ვაჭრებს მრავლათ მოეპოვებათ გასასყიდი შაბიამანი და გირვანქას სამ მანეთად ყიდიან. საწყალ ხალხს უწყალოდ ტყავს აძრობენ. საკითხავია: სად იშოვეს ამ ვაჭრებმა გასასყიდი შაბიამანი?! უნდა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენ უსათუოდ გაიძვერულ სპეკულიაციასთან გვაქვს საქმე.

მღვდ. ვლადიმერ მაჭარაშვილი.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს. | 5 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. | 55 „ |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. | 45 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. | 25 „ |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. | 31 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 6 ს. | 55 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. | 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. | 5 „ |
| „ | — ღამის | — 12 ს. | 30 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. | 10 „ |
| „ | — დილის | — 6 ს. | — „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | 13 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. | 25 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 6 ს. | 25 „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასევაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს ყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

## სალი კუჭი

# უელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულად შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ უაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარ შველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული უაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემორროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. უაზბობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ სათვალარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს უაზბობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **უელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასადებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია უაზზობისაგან. **უელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **უელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებითი ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **უელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

უელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)

[illegible]ტორიის მოით[illegible]